

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის და კომპანიის კონსოლიდირებულ და განცალკევებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად.

კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი კონსოლიდირებულ და განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს და კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს ჯგუფის და კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია („ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის და კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2020 წლის 28 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:


გენერალური დირექტორი
რობერტ-მაიკლ ქაუგილი

28 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო


ფინანსური დეპარტამენტის უფროსი
სპარტაკ თევდორაშვილი

28 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	ჯგუფი 31 დეკემბერი 2019	ჯგუფი 31 დეკემბერი 2018	ჯგუფი 31 დეკემბერი 2017	კომპანია 31 დეკემბერი 2019	კომპანია 31 დეკემბერი 2018	კომპანია 31 დეკემბერი 2017
აქტივები							
გრძელვადიანი აქტივები							
ძირითადი საშუალებები	5	4,819,955	5,034,940	5,284,513	4,819,850	5,034,835	5,284,408
არამატერიალური აქტივები	6	5,070	13,614	16,658	5,122	13,666	16,710
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში		10,014	-	13,583	31,959	21,108	21,108
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,835,039	5,048,554	5,314,754	4,856,931	5,069,609	5,322,226
მოკლევადიანი აქტივები							
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		29,092	39,968	26,848	29,092	39,968	26,848
წინასწარ გადახდილი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		1,474	1,880	181	1,293	1,699	-
მარაგები	7	392,294	337,210	329,519	392,294	337,210	329,519
გაცემული ავანსები		6,474	35,882	-	6,474	35,882	-
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	8	455,182	198,890	31,075	455,182	198,890	31,075
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	2,845,189	3,050,611	1,987,840	2,844,955	3,050,257	1,987,486
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,729,705	3,664,441	2,375,463	3,729,290	3,663,906	2,374,928
სულ აქტივები		8,564,744	8,712,995	7,690,217	8,586,221	8,733,515	7,697,154
კაპიტალი და ვალდებულებები							
კაპიტალი							
საწესდებო კაპიტალი		89,566	89,566	89,566	89,566	89,566	89,566
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		4,129,295	3,815,413	3,270,403	4,151,277	3,836,501	3,277,908
არამაკონტროლებელი წილი		(34)	29	29	-	-	-
სულ კაპიტალი		4,218,827	3,905,008	3,359,998	4,240,843	3,926,067	3,367,474
ვალდებულებები							
გრძელვადიანი ვალდებულებები							
ნასესხები სახსრები 1	10	1,415,664	2,274,151	3,239,321	1,415,664	2,274,151	3,239,321
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,415,664	2,274,151	3,239,321	1,415,664	2,274,151	3,239,321
მოკლევადიანი ვალდებულებები							
გადასახდელი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		-	-	197	-	-	197
მიღებული ავანსები		1,842,744	1,410,077	450	1,842,744	1,410,077	450
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება		26,446	26,235	19,001	25,907	25,696	18,462
ნასესხები სახსრები 2	10	1,061,063	1,097,524	1,071,250	1,061,063	1,097,524	1,071,250
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,930,253	2,533,836	1,090,898	2,929,714	2,533,297	1,090,359
სულ ვალდებულებები		4,345,917	4,807,987	4,330,219	4,345,378	4,807,448	4,329,680
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,564,744	8,712,995	7,690,217	8,586,221	8,733,515	7,697,154

გენერალური დირექტორი
რობერტ-მაიკლ ქაუგილი

28 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი
სპარტაკ თევდორაშვილი

28 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული და განცალკევებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	გზ.უფი 2019 წელი	გზ.უფი 2018 წელი	კომპანია 2019 წელი	კომპანია 2018 წელი
შემოსავალი სწავლის საფასურიდან		8,509,022	5,219,443	8,509,022	5,219,443
საერთო მოგება		8,509,022	5,219,443	8,509,022	5,219,443
სხვა საოპერაციო შემოსავალი	11	34,986	39,503	34,986	39,503
სხვა საოპერაციო ხარჯები	12	(97,446)	(70,768)	(97,446)	(70,768)
მარკეტინგის და დისტრიბუციის ხარჯები	13	(68,196)	(17,355)	(68,196)	(17,355)
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(6,587,374)	(4,392,666)	(6,587,254)	(4,392,666)
ინვესტიციების გაუფასურება		(773)	(13,583)	-	-
საოპერაციო მოგება		1,790,219	764,574	1,791,112	778,157
ფინანსური შემოსავალი		8,131	7,626	8,131	7,626
ფინანსური ხარჯები		(210,159)	(236,465)	(210,159)	(236,465)
წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)		(59,476)	(49,491)	(59,476)	(49,491)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		15,540	61,152	15,540	61,152
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	15	(73,082)	(2,386)	(73,082)	(2,386)
მოგება დაბეგვრამდე		1,471,173	545,010	1,472,066	558,593
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-	-	-
წმინდა მოგება		1,471,173	545,010	1,472,066	558,593


გენერალური დირექტორი
რობერტ-მაიკლ ქაუგილი
28 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო


ფინანსური დეპარტამენტის უფროსი
სპარტაკ თევდორაშვილი
28 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული და განცალკევებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ჩვეუ	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	89,566	3,270,403	29	3,359,998
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	545,010	-	545,010
პერიოდის სრული შემოსავალი (ზარალი)	-	545,010	-	545,010
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	89,566	3,815,413	29	3,905,008
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	1,471,173	(64)	1,471,109
პერიოდის სრული შემოსავალი (ზარალი)	-	1,471,173	(64)	1,471,109
დივიდენდის გამოცხადება	-	(1,157,290)	-	(1,157,290)
ოპერაციები აქციონერებთან/დამფუძნებლებთან	-	(1,157,290)	-	(1,157,290)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	89,566	4,129,296	(35)	4,218,827

კომპანია	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	89,566	3,277,908	3,367,474
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	558,593	558,593
პერიოდის სრული შემოსავალი (ზარალი)	-	558,593	558,593
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	89,566	3,836,501	3,926,067
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	1,472,066	1,472,066
პერიოდის სრული შემოსავალი (ზარალი)	-	1,472,066	1,472,066
დივიდენდის გამოცხადება	-	(1,157,290)	(1,157,290)
ოპერაციები აქციონერებთან/დამფუძნებლებთან	-	(1,157,290)	(1,157,290)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	89,566	4,151,277	4,240,843

კონსოლიდირებული და განცალკევებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	ჯგუფი		კომპანია	
	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
წლის მოგება	1,471,946	558,593	1,472,066	558,593
კორექტირებები:				
ცვეთა	327,996	312,355	327,996	312,355
ამორტიზაცია	19,529	3,044	19,529	3,044
მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	59,476	49,491	59,476	49,491
საპროცენტო ხარჯი	210,159	236,465	210,159	236,465
საოპერაციო შედეგები საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე	2,089,106	1,159,948	2,089,226	1,159,948
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	(219,848)	(170,047)	(219,848)	(170,047)
ცვლილებები წინასწარ გადახდილ მოგების გადასახადში	10,876	(13,120)	10,876	(13,120)
ცვლილებები წინასწარ გადახდილ წმინდა გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა	406	(1,699)	406	(1,699)
ცვლილება მარაგებში	(55,084)	(7,691)	(55,084)	(7,691)
ცვლილებები გაცემულ ავანსებში	29,408	(35,882)	29,408	(35,882)
ცვლილებები გადასახდელ წმინდა გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა	-	(197)	-	(197)
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	432,667	1,409,627	432,667	1,409,627
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	616	7,350	616	7,350
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,288,147	2,348,289	2,288,267	2,348,289
გადახდილი პროცენტი	(228,379)	(241,969)	(228,379)	(241,969)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	2,059,768	2,106,320	2,059,888	2,106,320
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ძირითადი საშუალებების შეძენა	(113,011)	(62,782)	(113,011)	(62,782)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(10,985)	-	(10,985)	-
ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში	(10,851)	-	(10,851)	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(134,847)	(62,782)	(134,847)	(62,782)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
შემოძინება მიღებული სესხებიდან	3,669,859	-	3,669,859	-
მიღებული სესხების დაფარვა	(4,803,638)	(1,006,559)	(4,803,638)	(1,006,559)
დივიდენდების გადახდა	(1,157,289)	-	(1,157,289)	-
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან	(2,291,068)	(1,006,559)	(2,291,068)	(1,006,559)
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	(366,147)	1,036,979	(366,027)	1,036,979
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	160,725	25,792	160,725	25,792
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	3,050,611	1,987,840	3,050,257	1,987,486
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	2,845,189	3,050,611	2,844,955	3,050,257

კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი დაფუძნდა 2005 წლის იანვარში, თბილისი, საქართველო. მარეგისტრირებული ორგანო არის ისანი-სამგორის სასამართლო. რეგისტრირებული იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მ.ალექსიძის ქ., N10

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა არის რომ უზრუნველყონ აკადემიური მიღწევები და ეთიკურად ჯანსაღი საგანმანათლებლო გარემო სტუდენტებისთვის, რათა მიიღონ უმაღლესი განათლება შესაბამის დარგებში.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მესაკუთრეების სტრუქტურა არის შემდეგნაირი:

31 დეკემბერი 2019	მესაკუთრე	წილის მმართველი
	რობერტ-მაიკლ ქაუგილი, საქართველო, 01008045616 /აშშ/	29.65%
	თამარ ციციშვილი-ქაუგილი, 01017008451	28.49%
	ნინო ტორონჯაძე, 01006004088	11.63%
	რუსუდან ციციშვილი, 01017009867	8.14%
	ქენეთ ენდრიუ ქათშო, 529190109 /აშშ/	8.14%
	სოფიკო შუბლაძე, 01024005364	4.65%
	თეიმურაზ ტორონჯაძე, 01026001039	4.65%
	ლია მუხაშავერა, 01022002946	2.33%
	ზაზა რუხაძე, 37001002995	1.16%
	ხათუნა ჭანუყვაძე, 01007006576	1.16%
31 დეკემბერი 2018	მესაკუთრე	წილის მმართველი
	რობერტ-მაიკლ ქაუგილი, საქართველო, 01008045616 /აშშ/	25.50%
	თამარ ციციშვილი-ქაუგილი, 01017008451	24.50%
	საქართველოს უნივერსიტეტი	14.00%
	ნინო ტორონჯაძე, 01006004088	10.00%
	რუსუდან ციციშვილი, 01017009867	7.00%
	ქენეთ ენდრიუ ქათშო, 529190109 /აშშ/	7.00%
	სოფიკო შუბლაძე, 01024005364	4.00%
	თეიმურაზ ტორონჯაძე, 01026001039	4.00%
	ლია მუხაშავერა, 01022002946	2.00%
	ზაზა რუხაძე, 37001002995	1.00%
	ხათუნა ჭანუყვაძე, 01007006576	1.00%

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირველადი ღირებულების მეთოდით, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. ჯგუფის და კომპანიის ფუნქციონალური და ანგარიშგების ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

შესაბამისობის განცხადება

წარმოდგენილი კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

კონსოლიდირებულ და განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, ჯგუფი და კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ჯგუფს და კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- მას აქვს ინვესტიციის ობიექტზე ზეგავლენა (ანუ ამჟამინდელი უფლებები მას საშუალებას აძლევს, ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა მართოს);
- ის იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- მას შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების გასამყარებლად, თუ ჯგუფს აქვს ხმის უფლების მქონე უმრავლესობაზე ნაკლები ან საინვესტიციო ობიექტის მსგავსი უფლებები, ჯგუფი ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს იმის შეფასებისათვის, აქვს თუ არა მას უფლება საინვესტიციო ობიექტზე, მათ შორის:

- სახელშეკრულებო შეთანხმება საინვესტიციო ობიექტის ხმის უფლების სხვა მფლობელებთან;
- სხვა სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან წარმოქმნილი უფლებები;
- ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები.

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა საინვესტიციო ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ არსებობს კონტროლის სამი ელემენტიდან ერთის ან მეტის ცვლილება. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გაყიდული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის აქციონერებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის შიგნით ყველა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადები, რომელიც უკავშირდება ჯგუფის წევრებს შორის ტრანზაქციებს სრულად უქმდება კონსოლიდაციის დროს.

შვილობილ კომპანიის კაპიტალში წილის ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე, აღირიცხება როგორც კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაცია. თუ ჯგუფი დაკარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი წყვეტს შესაბამისი აქტივების (გუდვილის ჩათვლით), ვალდებულებების, არასაკონტროლო წილის და კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო შედეგად მიღებულ მოგებას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

საწარმოთა გაერთიანება

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შესყიდვის მეთოდით. შესყიდვის ღირებულება ფასდება როგორც შეძენის დღისათვის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მთლიანი გადაცემული ანაზღაურებისა და შეძენილ საწარმოში ნებისმიერი არასაკონტროლო წილის მოცულობის ჯამი. საწარმოთა გაერთიანების თითოეულ შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს შეძენილი კომპანიის არასაკონტროლო წილს სამართლიანი ღირებულებით ან შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივების პროპორციული წილის მიხედვით.

როდესაც ჯგუფი შეისყიდის ბიზნესს, კლასიფიკაციის მიზნებისთვის აფასებს მის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შესყიდვის თარიღისათვის არსებული სახელშეკრულებო პირობების, ეკონომიკური გარემოებებისა და რელევანტური პირობების შესაბამისად. აღნიშნული მოიცავს შესყიდული საწარმოს მიერ ხელშეკრულებაში ჩადებული წარმოებული ინსტრუმენტების განცალკევებას.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმო ისეთი საწარმოა, რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ამ პოლიტიკაზე ინვესტორის კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

მნიშვნელოვანი გავლენის განსაზღვრაში გამოყენებული მოსაზრება შეესაბამება შვილობილ კომპანიებზე კონტროლის განსაზღვრისთვის საჭირო მოსაზრებებს. ჯგუფის ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში აღირიცხება კაპიტალ-მეთოდით.

კაპიტალ-მეთოდის ფარგლებში, შვილობილ საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად თვითღირებულებით აღირიცხება. ინვესტიციის საბალანსო ღირებულება კორექტირდება, რომ ასახოს მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში ჯგუფის მიერ ფლობილ ნეტო აქტივებში შეძენის თარიღიდან მომხდარი ცვლილებები.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ასახავს მეკავშირე საწარმოს ოპერაციების შედეგებში ჯგუფის წილს. ამგვარი საინვესტიციო ობიექტების სხვა სრულ შემოსავალში ნებისმიერი ცვლილება წარმოდგენილია ჯგუფის სხვა სრული შემოსავლის ნაწილის სახით. ამასთან, როდესაც მეკავშირე საწარმოს კაპიტალში პირდაპირ არის აღიარებული ცვლილება, ჯგუფი ნებისმიერ ცვლილებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მის წილს აღიარებს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში. ჯგუფსა და მეკავშირე საწარმოს შორის ოპერაციებიდან მიღებული არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აღმოიფხვრება, მეკავშირე საწარმოში ჯგუფის წილის შესაბამისად.

მეკავშირე საწარმოში ჯგუფის მოგების ან ზარალის წილის მთლიანი თანხა ნაჩვენებია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგების გარეთ და ის წარმოადგენს მოგებას ან ზარალს გადასახადით დაბეგვრის შემდეგ და არასაკონტროლო წილს მეკავშირე საწარმოს შვილობილ კომპანიებში.

მეკავშირე საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იგივე საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც წარმოდგენილია ჯგუფის ანგარიშგებაში. საჭიროების შემთხვევაში კეთდება კორექტირებები სააღრიცხვო პოლიტიკების ჯგუფის პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

კაპიტალ-მეთოდის გამოყენების შემდეგ, ჯგუფი განსაზღვრავს საჭიროა თუ არა გაუფასურების ზარალის აღიარება მის მეკავშირე საწარმოში არსებულ ინვესტიციაზე. თითოეულ საანგარიშგებო თარიღში, ჯგუფი განსაზღვრავს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია გაუფასურებულია. თუ არსებობს ამგვარი მტკიცებულება, ჯგუფი ანგარიშობს გაუფასურების ოდენობას მეკავშირე საწარმოს ანაზღაურებად ღირებულებასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის განსხვავების სახით და შემდეგ მოგებაში ან ზარალში აღიარებს ზარალს მეკავშირე საწარმოს მოგების წილში.

მეკავშირე საწარმოზე მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის შემთხვევაში, ჯგუფი ახდენს გაუნაწილებელი ინვესტიციის შეფასებასა და აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის მომენტისთვის მეკავშირე საწარმოს საბალანსო ღირებულებასა და გაუნაწილებელი ინვესტიციისა და გასვლის შემოსავლის სამართლიან ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებსა და მეკავშირე საწარმოებში კომპანიის განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებებში

კომპანია შვილობილ კომპანიებსა და მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციას აღრიცხავს თვითღირებულებით, რომელიც წარმოადგენს გადახდილი ან გადასახდელი თანხის ოდენობას. კომპანია შვილობილი კომპანიისგან და მეკავშირე საწარმოსგან მიღებულ დივიდენდს სრული შემოსავლის განცალკევებულ ანგარიშგებაში აღიარებს ამ დივიდენდის გამოცხადებისას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

31 დეკემბერი 2019

შვილობილი	წილი %	ქვეყანა	დაფუძნების თარიღი	ინდუსტრია
შპს გაუმარჯოს	52%	საქართველო	22/03/2006	მომსახურება

31 დეკემბერი 2018

შვილობილი	წილი %	ქვეყანა	დაფუძნების თარიღი	ინდუსტრია
შპს გაუმარჯოს	52%	საქართველო	22/03/2006	მომსახურება

ჯგუფს აქვს ინვესტიციები შემდეგ ასოციაციებში:

31 დეკემბერი 2019

ასოციაცია	წილი %	ქვეყანა	დაფუძნების თარიღი	ინდუსტრია
შპს გაუ წიგნები	20%	საქართველო	14/08/2006	მომსახურება
შპს ქართულ-ამერიკული სამედიცინო უნივერსიტეტი	10%	საქართველო	29/07/2019	მომსახურება

31 დეკემბერი 2018

ასოციაცია	წილი %	ქვეყანა	დაფუძნების თარიღი	ინდუსტრია
შპს გაუ წიგნები	20%	საქართველო	14/08/2006	მომსახურება

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი ფლობს შპს ქართულ-ამერიკული სამედიცინო უნივერსიტეტის 10%-იან წილს. თუმცა კომპანიებს ერთმანეთს მიმართ არ აქვთ ფინანსური ურთიერთობა.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის პირველადი გამოყენების ზოგადი პირობები

კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება პირველად მომზადებულია ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების შესაბამისად, რომელიც მოქმედია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს ჯგუფის და კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

ჯგუფის და კომპანიის კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება ჯგუფის და კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშობა, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის და კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2019
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766	2.8677
ლარი/1 ევრო	3.0701	3.2095

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

ცვეთა

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები განსხვავებულია ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით, კერძოდ:

- შენობა-ნაგებობები - 5%
- ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი - 15-20%
- კომპიუტერული ტექნიკა - 15-25%
- არამატერიალური აქტივები - 15-100%

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ამოქმედებული ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრამდე, მოგების გადასახადის დარიცხვა/(მიწერა) მოიცავდა მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარებოდა მოგება-ზარალის ანგარიშგებებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი აღიარება ხდებოდა სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის უკავშირდებოდა ოპერაციებს, რომლებიც ასევე აღიარებული იყო იმავე ან სხვა პერიოდში სხვა სრულ შემოსავალში ან უშუალოდ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი იყო თანხა, რომელიც ექვემდებარებოდა საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ან მათგან მიღებას მიმდინარე და წინა პერიოდებში დასაბეგრ მოგება-ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება-ზარალი ეფუძნებოდა ვარაუდებს, თუ რამდენად ნებადართული იყო კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებების წარმოდგენა შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსებამდე.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილი იყო საბალანსო ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალში გადატანილ საგადასახადო ზარალთან დაკავშირებით და დაბეგვრის მიზნით აქტივებისა და ვალდებულებების დაბეგვრად ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის მიზნით. თავდაპირველ აღიარებასთან დაკავშირებული გამონაკლისების მიხედვით, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხებოდა კომპანიების გაერთიანების გარდა სხვა ტრანზაქციაში აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებისას არსებულ დროებით სხვაობის თვალსაზრისით, თუ ეს ტრანზაქცია, თავდაპირველად აღრიცხვისას, გავლენას არ ახდენს აღრიცხვაზე ან დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთები ფასდებოდა მოქმედი ან არსებითად იმ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს მოქმედი საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ გამოიყენებოდა იმ პერიოდთან მიმართებაში, როდესაც დროებითი სხვაობები მთლიანად იცვლებოდა ან საგადასახადო ზარალის მომავალში გადატანა ხდებოდა.

გადავადებული საგადასახადო აქტივები, დაქვითვას დაქვემდებარებული დროებითი სხვაობებისა და მომავალში გადატანილი საგადასახადო ზარალის თვალსაზრისით, აღირიცხებოდა მხოლოდ მაშინ თუ აშკარა იყო, რომ დროებითი სხვაობები მთლიანად შეიცვლებოდა და საკმარისი მოცულობის მომავალი დასაბეგრი მოგება არსებობდა, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა დაქვითვების განხორციელება.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები ურთიერთჩათვლა მაშინ ხდებოდა, როდესაც მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების მიმართ ჩათვლის იურიდიულად განხორციელებადი უფლება არსებობდა და როდესაც გადავადებული მოგების გადასახადების აქტივები და ვალდებულებები იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ ერთსა და იმავე დასაბეგრ პირზე ან სხვა დასაბეგრ პირებზე დაწესებულ მოგების გადასახადებს უკავშირდებოდა, თუ მიზანი ანგარიშგებზე დავალიანების ნეტო საფუძველზე დაფარვა იყო.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები განახორციელა საქართველოს საგადასახადო კანონში, რომლის საფუძველზეც კომპანიები (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) მოგების გადასახადს არ გადაიხდიან 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ ეს მოგება არ განაწილდება ან განაწილებულად არ ჩაითვლება დივიდენდის სახით.

15%—იანი მოგების გადასახადი გადაიხდება მთლიან მაჩვენებელზე (ე.ი. წმინდა დივიდენდები უნდა გადაანგარიშდეს მთლიან მაჩვენებელში, გადახდის წყაროსთან 5% დაკავებით, შესაბამის შემთხვევებში, და 0.85-ზე გაყოფით) ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდისას. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებიდან არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში დაგროვილ მოგებაზე დივიდენდები მოგების გადასახადით იბეგრება გადაანგარიშებულ მთლიან მაჩვენებელზე, რომელიც შემცირებულია საგადასახადო შეღავათით. საგადასახადო შეღავათი გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი საერთო წმინდა მოგებასთან მიმართებით იმავე პერიოდში, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებაზე დაწესებულ ფაქტობრივ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომელშიც დივიდენდების გადახდა განხორციელდა. მოგების გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც დივიდენდების გადახდის შემდეგ წარმოიშობა, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილებასთან ერთად, გადასახადი მაინც გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებას და წარმომადგენლობით ხარჯებს, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას აღემატება. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში რეგისტრირებული საწარმოებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და ასეთ საწარმოებთან სხვა კონკრეტული გარიგებები, ასევე ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგრას. ასეთი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში რეგისტრირებული საწარმოებისთვის გადახდილი ყველა ავანსის ან ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხების ამოღების სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო შეღავათის გამოკლებით, აისახება გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში მოგების გადასახადის გარდა.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულების ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებიდან უმცირესით. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენისა და მიმდინარე ადგილას გადატანისა და არსებულ მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მარაგების საპროგნოზო გასაყიდ ფასს, რომელსაც გამოკლებული აქვს მათი დასრულებისათვის საჭირო გაყიდვის ხარჯები.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ჯგუფის და კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშზე.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

ავანსები

ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. ავანსი გრძელვადიანად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურების მიღება ივარაუდება ერთი წლის შემდგომ, ან თუ ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავად ითვლება თავდაპირველი აღიარებისას გრძელვადიანად. აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის ჯგუფის და კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის დამყარების შემდეგ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს ჯგუფი და კომპანია მიიღებს. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალში მათთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურებების მიღების შემდეგ. თუ არის იმის ნიშნები, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივების, საქონლისა თუ მომსახურებების მიღება ვერ მოხერხდება, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, ხოლო წლის მოგება-ზარალში აღიარდება შესაბამისი გაუფასურების ზარალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დაამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც ჯგუფს და კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების გენერირება ხდება სწავლის საფასურიდან, რომელთა აღიარება ხორციელდება ხელშეკრულებისა და მისი შესაბამისი გადახდის გრაფიკის საფუძველზე.

შემოსავალი იზომება როგორც გაყიდვის შედეგად მიღებული აქტივის სამართლიანი ღირებულება. როდესაც ბარტერულ შეთანხმებაში საიმედოდ ვერ დგინდება მიღებული აქტივის ღირებულება, შემოსავალი აღიარდება იმ აქტივების ან სერვისის ღირებულებით, რომელიც ჯგუფმა და კომპანიამ გასცა ან გასწია.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები, კერძო დაზღვევა და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია ჯგუფის და კომპანიის თანამშრომლების მიერ. ჯგუფს და კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

ჯგუფი და კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	კომპიუტერული ტექნიკა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
საწყისი ღირებულება						
ბალანსი 31.12.2017	1,466,616	5,082,926	63,317	381,900	163,192	7,157,951
შემოსვლა	-	-	3,638	35,497	23,647	62,782
ბალანსი 31.12.2018	1,466,616	5,082,926	66,955	417,397	186,839	7,220,733
შემოსვლა	-	-	5,510	56,975	50,526	113,011
ბალანსი 31.12.2019	1,466,616	5,082,926	72,465	474,372	237,365	7,333,744
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება						
ბალანსი 31.12.2017	-	(1,389,984)	(56,399)	(311,990)	(115,170)	(1,873,543)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(254,146)	(4,601)	(30,334)	(23,274)	(312,355)
ბალანსი 31.12.2018	-	(1,644,130)	(61,000)	(342,324)	(138,444)	(2,185,898)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(254,146)	(2,991)	(44,554)	(26,305)	(327,996)
ბალანსი 31.12.2019	-	(1,898,276)	(63,991)	(386,878)	(164,749)	(2,513,894)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
ბალანსი 31.12.2017	1,466,616	3,692,942	6,918	69,910	48,022	5,284,408
ბალანსი 31.12.2018	1,466,616	3,438,796	5,955	75,073	48,395	5,034,835
ბალანსი 31.12.2019	1,466,616	3,184,650	8,474	87,494	72,616	4,819,850

6. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	ლიცენზია	ჯამურად
საწყისი ღირებულება			
ბალანსი 31.12.2017	99,295	-	99,295
დანამატები	-	-	-
ბალანსი 31.12.2018	99,295	-	99,295
დანამატები	-	10,985	10,985
ბალანსი 31.12.2019	99,295	10,985	110,280
აკუმულირებული ცვეთა			
ბალანსი 31.12.2017	(82,585)	-	(82,585)
ამორტიზაცია პერიოდისათვის	(2,858)	(186)	(3,044)
ბალანსი 31.12.2018	(85,443)	(186)	(85,629)
ამორტიზაცია პერიოდისათვის	(10,065)	(9,464)	(19,529)
ბალანსი 31.12.2019	(95,508)	(9,650)	(105,158)
წმინდა ღირებულება			
ბალანსი 31.12.2017	16,710	-	16,710
ბალანსი 31.12.2018	13,852	(186)	13,666
ბალანსი 31.12.2019	3,787	1,335	5,122

7. მარაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
წიგნები	361,639	312,319
საოფისე მასალები	30,071	24,649
სხვა მასალები	584	242
სულ მარაგები	392,294	337,210

8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მოთხოვნები სწავლის საფასურიდან	394,374	136,704
მოთხოვნები სტატუს შეჩერებული სტუდენტებიდან	56,254	86,094
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	90,648	62,186
დებიტორული დავალიანების რეზერვი	(86,094)	(86,094)
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	455,182	198,890

9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ლარები საბანკო ანგარიშებზე	264,113	953,341
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	2,581,076	2,093,158
ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	2,845,189	3,046,499
ნაღდი ფული სალაროში	-	4,112
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	2,845,189	3,050,611

10. ნასესხები სახსრები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიღებული სესხები - გრძელვადიანი წილი	345,024	2,274,151
გრძელვადიანი ვალდებულებები	345,024	2,274,151
მიღებული სესხები - მიმდინარე წილი	2,123,351	1,070,640
გადასახდელი პროცენტი	8,352	26,884
მიმდინარე ვალდებულებები	2,131,703	1,097,524
სულ ნასესხები სახსრები	2,476,727	3,371,675

11. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2019	2018
შემოსავალი წიგნების რეალიზაციიდან	58	87
შემოსავალი რეგისტრაციის საფასურიდან	2,260	11,850
შემოსავალი იჯარიდან და კომუნალური გადასახადებიდან	31,017	25,516
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,651	2,050
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	34,986	39,503

12. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2019	2018
ბრძანების საფუძველზე მიღებული ფასდაკლებების ხარჯები	86,036	57,253
უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფასურის ხარჯები	11,410	5,809
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	7,706
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	97,446	70,768

13. მარკეტინგის და დისტრიბუციის ხარჯები

	2019	2018
რეკლამის ხარჯები	67,926	17,355
სხვა ხარჯები	270	-
სულ მარკეტინგის და დისტრიბუციის ხარჯები	68,196	17,355

14. ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
ხელფასის ხარჯები	3,952,326	3,147,753
მომსახურების ხარჯები	1,031,309	335,592
აგენტის საკომისიო ხარჯები	585,311	-
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	347,526	315,400
კომუნალური ხარჯები	98,445	98,726
მივლინების ხარჯები	64,386	65,064
საპენსიო ხარჯები	48,275	-
წარმომადგენლობითი ხარჯები	45,912	40,984
კომპიუტერის ხარჯები	42,430	41,474
საოფისე მასალის ხარჯები	40,156	27,529
კომუნიკაციის ხარჯები	37,722	25,607
საოფისე ინვენტარის ხარჯები	37,688	29,719
საგადასახადო ხარჯები	36,766	39,088
იმპორტის ხარჯები	36,023	12,744
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	35,607	30,503
საკანცელარიო ხარჯები	30,139	19,775
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	29,468	33,623
რემონტის ხარჯები	25,468	36,856
აკრედიტაციის ხარჯები	19,612	-
იჯარის ხარჯები	15,200	3,233
ბანკის ხარჯები	13,161	10,358
ნოტარიუსისა და თარჯიმნის ხარჯები	6,309	1,703
ტრანსპორტირების ხარჯები	3,900	1,125
დაზღვევის ხარჯები	3,160	15,379
სარემონტო მასალების და ხელსაწყოების ხარჯები	1,075	2,161
კვლევის ხარჯები	-	2,270
დაცვის ხარჯები	-	56,000
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	6,587,374	4,392,666

15. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	2019	2018
მარაგების ჩამოწერის ხარჯები	4,841	1,344
უიმედო ვალების ჩამოწერა	55,128	-
საქველმოქმედო ხარჯები	2,214	1,042
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	10,899	-
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯები	73,082	2,386

16. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება ჯგუფის და კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულა.

საგადასახადო კანონმდებლობა

საგადასახადო სისტემა საქართველოში არის შედარებით ახალი და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებითა და სასამართლოს გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, წინააღმდეგობრივი და ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციას სხვადასხვა საგადასახადო ორგანოებს მიერ. საგადასახადო შემოწმებები და გამოძიებები ხორციელდება რიგი სამთავრობო უწყებებს მიერ, რომელთაც აქვთ უფლებამოსილება დააკისრონ მკაცრი ჯარიმები და საურავები გარკვეულ სუბიექტებს. საგადასახადო წელი ღიაა შესამოწმებლად საგადასახადო ორგანოების მიერ სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

გარემოსდაცვითი საკითხები

ამ გარემოებამ შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები

სადაზღვეო

სადაზღვეო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვეო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფს და კომპანიას არ გააჩნია სრული სადაზღვეო დაფარვა თავის მოძრავ ქონებაზე, საქმის შეწყვეტაზე ან მესამე პირის ვალდებულებაზე კერძო საკუთრებასთან მიმართებაში, ან შემთხვევითობის წყალობით წამოჭრილი რაიმე გარემო ზიანზე ჯგუფის და კომპანიის საკუთრების ან ოპერაციების მიმართ. სანამ ჯგუფი და კომპანია მიიღებს შესაფერის სადაზღვეო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა ჯგუფის და კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე

17. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა მაშინ, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2018	მიღებული ავანსები
საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატა	4,610
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	4,610

ოპერაციები მხარეებთან 31-დეკ-2019	შესყიდვები	მომსახურება	იჯარისა და კომუნალური გადასახადები	საწევრო გადასახადი	გადახდილი დივიდენდები
საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატა	-	-	-	4,610	-
შპს აიკაფეტერია	-	540	1,656	-	-
რობერტ-მაიკლ ქსუგილი	-	41,967	-	-	343,136
სოფიკო შუბლაძე	-	2,257	-	-	53,814
ლია მუხაშვერია	-	-	-	-	26,965
ნინო ტორონჯაძე	-	125,900	-	-	134,593
თამარ ციციშვილი-ქსუგილი	-	15,101	-	-	329,712
რუსუდან ციციშვილი	-	-	-	-	94,203
თეიმურაზ ტორონჯაძე	-	-	-	-	53,814
ხათუნა ჭანუყვაძე	-	-	-	-	13,425
ქენეთ ენდრიუ ქათშო	-	-	-	-	94,203
ზაზა რუხაძე	-	82,288	-	-	13,425
გაიანე სიმონია	-	125,900	-	-	-
კარლო მათითაშვილი	120	141,718	-	-	-
ტორონჯაძე ირინე	-	2,441	-	-	-
ნანა მიქაშვიძე	-	15,000	-	-	-
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	120	553,111	1,656	4,610	1,157,289

ოპერაციები მხარეებთან 31-დეკ-2018	მომსახურება	იჯარისა და კომუნალური გადასახადები	საწევრო გადასახადი
საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატა	-	-	4,400
შპს აიკაფეტერია	3,046	5,127	-
სოფიკო შუბლაძე	2,504	-	-
თამარ ციციშვილი-ქსუგილი	15,000	-	-
ზაზა რუხაძე	1,599	-	-
ნანა მიქაშვიძე	3,750	-	-
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	25,899	5,127	4,400

მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	2019 წელი	2018 წელი
მესაკუთრები:		
რობერტ-მაიკლ ქაუგილი, საქართველო, 01008045616 /აშშ/	222,798	165,675
თამარ ციციშვილი-ქაუგილი, 01017008451	344,712	15,000
ნინო ტორონჯაძე, 01006004088	297,499	152,737
რუსუდან ციციშვილი, 01017009867	88,969	82,444
სოფიკო შუბლაძე, 01024005364	33,671	33,104
თეიმურაზ ტორონჯაძე, 01026001039	118,600	124,988
ზაზა რუხაძე, 37001002995	202,138	124,086
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი - სპარტაკ თევდორაშვილი	144,610	96,913
სულ მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	1,452,996	794,946

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ანალიზი „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“ მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.

ზემოხსენებული სტანდარტების მოთხოვნაა, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) ასახავდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არსებულ მდგომარეობას. 2019 წლის 31 დეკემბერს ჩინეთმა გააფრთხილა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია იმის თაობაზე, რომ ქ. უჰანში გამოვლინდა უჩვეულო ფორმის პნევმონიის რამდენიმე შემთხვევა. თუმცა, მხოლოდ 2020 წლის დასაწყისში გამოჩნდა არსებითი ინფორმაცია იმის თაობაზე, რაც ამჟამად უკვე იდენტიფიცირებულია, როგორც კორონავირუსი.

საქართველოს მთავრობის ახალი რეგულაციებით კომპანიები მუშაობას განაგრძობენ დისტანციურად. ჯგუფის და კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ წარმოქმნილი ბალანსის შემდგომი მოვლენა არ მოახდენს ზეგავლენას ჯგუფის და კომპანიის ფუნქციონირებადობაზე, იქედან გამომდინარე რომ ჯგუფის და კომპანიის ძირითადი საქმიანობა არ ზღუდავს მუშაობის პროცესს დისტანციურად.

19. კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2020 წლის 28 სექტემბერს.